პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— მარტი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ვლადიმერ ლობჟანიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ვლადიმერ ლობჟანიძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. გაუქმდეს სოლომონ დოდაშვილის ქუჩის სახელწოდება ამ განკარგულების ,,1" პუნქტის დანართში აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის მიმდებარე არეალში.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ბულაჩაურ ლიბერალების ქუჩა
ბულაჩაურ ლიბერალების ქუჩა
ბულაჩაურ ლიბერალების ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032605744**
თარიღი: **26/02/2026**

როგორც მოგეხსენებათ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან კომუნიკაციის ფარგლებში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ რეგულარულად ხორციელდება დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ისეთი გეოგრაფიული ობიექტების შესწავლა, რომელთა გავრცელების არეალები და ფაქტობრივი მოხაზულობა ართულებს თანამედროვე სტანდარტებით ნუმერაციას ასევე შესაბამისობაში არაა ქალაქგეგმარებით პრინციპებთან.

ხსენებული საქმიანობის ფარგლებში, მიმდინარე წლის 30 იანვრის საკრებულოს სხდომაზე, ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევს მიენიჭა ჰოსპიტლის ქუჩის სახელი, აღნიშნული ცვლილება განაპირობა ობიექტის ნუმერაციის აუცილებლობამ, საკითხის განხილვისას დადგინდა, რომ ჰოსპიტლის ქუჩა არ არსებობდა და ძირითადი ქუჩის სახელწოდების გარეშე შემორჩენილი იყო მხოლოდ შესახვევი. ვინაიდან შესახვევი აუცილებლად უნდა არსებობდეს ძირითად ქუჩასთან და უნდა ატარებდეს ამ უკანასკნელის სახელს, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შესაბამისი ცვლილების თაობაზე.

ჰოსპიტლის შესახვევის სახელდების პროცესში ასევე დადგინდა, რომ ობიექტის მიმდებარედ არსებობს ექიმის შესახვევი და სოლომონ დოდაშვილის ქუჩა.

ექიმის ქუჩას 2017 წელს ვლადიმერ ლობჟანიძის სახელი ეწოდა, ვინაიდან ქუჩასთან არსებობდა გასასვლელი, მისი კონფიგურაცია და გავრცელების პარამეტრები არ იძლეოდა შესაძლებლობას ვლადიმერ ლობჟანიძის გასასვლელად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, საკრებულოს მიერ საკითხი არ იქნა განხილული ექიმის ქუჩის სახელის ცვლილების თაობაზე წარმოებული განხილვის ფარგლებში.

დღეის მდგომარეობით, ექიმის გასასვლელი მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას სოლომონ დოდაშვილის და ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩებს შორის, გასასვლელის გარკვეული არეალი ასევე ვრცელდება 01.17.12.028.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული კორპუსის ეზოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად არ ესაზღვრება გასასვლელის ძირითად მონაკვეთს, სატრანსპორტო საშუალებებისთვის ტერიტორიაზე შესვლა შეზღუდულია ხელოვნური ბარიერით და პრაქტიკულად დაკარგული აქვს ფუნქციური დანიშნულება. გასასვლელის მონაკვეთი, რომლის დასაწყისიც მდებარეობს სოლომონ დოდაშვილის ქუჩიდან ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩამდე მიზანშეწონილია დარჩეს გასასვლელის კატეგორიის ობიექტად და მიენიჭოს სოლომონ დოდაშვილის I გასასვლელის სახელი, ობიექტს ასევე ესაზღვრება ექიმის შესახვევის მონაკვეთი, აღნიშნული მონაკვეთიც ჩამოყალიბებულია აღწერილი

გასასვლელის გეგმარებით გაგრძელებად.

სოლომონ დოდაშვილის ქუჩის არეალის შესწავლისას დგინდება, რომ იგი შედგება ერთმანეთთან ქალაქგეგმარებითი კავშირის არმქონე ორი მონაკვეთისგან. ქუჩის ძირითადი ნაწილი მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას იუნკერთა ქუჩიდან სერგი წულაძის ქუჩამდე. მეორე მონაკვეთი, რომელსაც კავშირი არ აქვს ძირითად ქუჩასთან მდებარეობს ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩის მიმდებარედ და პარამეტრების შესაბამისად წარმოადგენს აღნიშნული ქუჩის I შესახვევს.

საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრა გაიმართა ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მოქალაქეებთან და ადგილზე იქნა შეფასებული ფაქტობრივი მდგომარეობა.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკითხის შემდგომი განხილვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032606320**
თარიღი: **04/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევის მიმდებარედ არსებული ექიმის გასასვლელისა და სოლომონ დოდაშვილის ქუჩის მონაკვეთის სახელდებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032606320**
თარიღი: **04/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევის მიმდებარედ არსებული ექიმის გასასვლელისა და სოლომონ დოდაშვილის ქუჩის მონაკვეთის სახელდებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი